ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**№42. 4223173001**

თარიღი:**22/06/2023**

,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება NEW HOLLAND LB90-B-4PT (რეგისტრაციის ნომერი 00 307 K, გამოშვების წელი - 2008, ტიპი - ექსკავატორი)-ის უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 21 ივნისის, N№42.4223172001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“ და ,,ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება NEW HOLLAND LB90-B-4PT (რეგისტრაციის ნომერი 00 307 K, გამოშვების წელი - 2008, ტიპი - ექსკავატორი)-ის უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 21 ივნისის, N№42.4223172001 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,**მუხლი 3.** განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2023 წლის 22 ივნისის 15:00 საათიდან, 2023 წლის 05 ივლისის 15:00 საათამდე“.
მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).
მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი